№ 6 ფასი 10 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ТЕЛЕФОНИ № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. ტფილისი, თეგეერვლის 15 გამოდის 1920 წ.

სალამი დავით კლდიაშვილს!

(30 წ. მოღვაწეობის სახსოვრად)

სალამი!

დღეს ჩვენის მწერლობის, თეატრისა და საზოგადოებრივ ცნობიერების მზე ნეტარად გაიცინებს.

მიზეზი — დავით კლდიაშვილია!

როგორც მზის პირველი მოციმციმე სხივები, ანკარა წყაროს ჩუხჩუხი და უმანკო ტყის ნაზი სიო, უკანასკნელ ოცდაათის წლის განმავლობაში ისე გველამუნებოდა დ. კლდიაშვილის გრძნობა-გონების მონარუქი.

იგი ერსა ჩვენსა მოუწოდებდა გამოფხიზლების, გაადამიანების, სიყვარულისა და ამაღლებისკენ...

ოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენის ხალხის ცოდვას ღვთიურ ცეცხლში სწვავდა, რომ განახლებული საქართველო ეხილნა!..

და, აჰა, ეღირსა!

მკვლრეთით აღმდგარი საქართველო დღეს მადლიან შუბლსა მისსა ეამბორება.

და კლდიაშვილი ღირსია ამისი!

დიმსახურა!

მისი ნაღვაწი ჩვენის მწერლობა-ხელოვნების ფსალმუნის ერთი მშვენიერი მუხლთაგანია!

ამიტომაც „თეატრი და ცხოვრება“ წრფელის გულით ეძღვნ ს საალამს როგორც დ. კლდიაშვილს ისევე მისს მშობელ ერს.

დაი, მადლი მისი ნუმც დაიშრიტება თავისუფალ საქართველოში!..

იოსებ იმედაშვილი

ჩემს სამშობლოს

ჩემო სამშობლო, ჩემო მხარე, ტურფავ ივერო!
ისევე ჭშვენი, ვით ჭშვენოდი დიდ თამარის დროს!..
ბუნურად დაგქროდა თავს გრიგალი საუკუნეთა,
მაგრამ გადურჩი და დღეს გულში ვით არ ამდგარხარ?..

კვლავ დაიწირე რჩეულთ შორის შენი ადგილი,
კვლავ ქართველობა სიხარულის გრძნობამ დაფარა,
დღეს ადარ ხარ უტეხოთ მონა, უდარჩი ბარგი,
ძველით ხმაურობს ჩვენი დაფი, ჩვენი ნადარა..

თეორი მხედარი დღეს შენს ტეფ-ველდო სწრაფად მოდახავს,
და კიდით-კიდეს ეტყვის ამბავს სასიხარულოს,
ლაღი მგოსანი ჩანგს აიღებს, წკარას მონახავს,
გრძნობით დაგმღერებს უტეხ აკორდს სასიყვარულოს!..

ბ. პელაშვილი

ცრემლით მოცინარი

დ. კლდიაშვილი

ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარია!..

აკაკი

გინდათ ჩვენი ოღრო-ჩოღრო, ჩამორჩენილი, უვიცი, ცრუმორწმუნე და მაინც თვისი რწმენით ძლიერი სოფელი ნახოთ?—ჩაიხედეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობებში.

გინდათ გაიცნოთ ჩვენი გუდა-მშიერი, ყოყლოჩინა „არარის მცოდნე არარის მქონე“, ცხოვრების სიყალბისგან გაყალბებული, ჩაჩაკა აზნაური?—

შეხედეთ დავით კლდიაშვილის გამოქანდაკებულ ხატებათ ..

გინდათ ხელოვნური სინამდვილით დასტკბეთ, იცინოთ, იხითხითოთ, ხოლო როცა ჩაფიქრდებით, სიმწვავე განიცადოთ და გულიდან ამოგსკდეთ: „ვაჰ, ეს რანი ვყოფილვართო“ და განახლების, გაჯანსაღების გზა ეძიოთ?—

წაიკითხეთ დ. კლდიაშვილი, მოისმინეთ კლდიაშვილი, იხილეთ სცენაზე კლდიაშვილი.

მაშ გავიგოთ, ვინ არის ეს ჯადო-ადამიანი, ვინ არის ის, რომელიც ცრემლნარევ ნაღველით იცინის და ამ სიცილით ჰსურს ბეჩავი ადამიანი აამაღლოს, განკურნოს?

ეს არის დავით სამსონისძე კლდიაშვილი. დაიბ. 1862 წ.. ენკ. 28 ს. სიმონეთში. გაათავა კიევის სამხ. გიმნაზია, შემდეგ მოსკოვის სამხ. სასწავლებელი და 1882 ოფიცრად გამოვიდა. მსახურებდა სამხ. სამს. ბათომში 1908 წლამდე. ამ წელს მთავრობამ სამსახურიდან გადააყენა. 1914 წ ხელახლად გაიწვიეს ჯარში და მთელი ომი სამსახურში დაჰყო. ქართულ ნაწილების შედგენის დროს ქართ. სათადარიგო რაზმში გადმოვიდა. 1918 წ. ოფიცერთა გუნდით გაიგზავნა ბათომს, აქედან—აჭარის წყალზე; ბათომის დამხობის დროს უკანასკნელი გამოვიდა ბათომიდან მარტის 31. მისი პირველი ნაშრომი იყო გერმანულიდან ნათარგმნი (დაიბეჭ. ჟურ. „მნათობში“ 1883 წ. სამსონიძის ფსევდონიმით). პირველი ორიგინალური მოთხრობა დაიბეჭდა „მოამბე-“ში 1894 წ. აქ დაიბეჭდა თითქმის ყველა მი-

ვალერიან შალიკაშვილი

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.

სი მოთხრობები. ცალკე გამოიცა მოთხრობანი 1901 წ. 1911 წ. ბათომში მ. კალანდაძემ გამოსცა მისი ნაწერების ორი ტომი. მზადდება ახალი გამოცემა. დაწერილი აქვს პიესები. „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“. თუმცა ბევრი მწუხარება გამოიარა, მაინც ახალგაზდური აღტაცებით შეჰხარის თავისუფალ სამშობლოს, რომლის კეთილდღეობას და ამაღლებასაც ამსახურა თავისი ძალღონე. მეოჯახეა და მისი უფროსი შვილიც მწერლობს. იუბილეს უმართავს ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით მთელი ქართველი ერი.

ვაშა მისს ნაშრომს! დღეგრძელობა ჩვენის მწერლობის მშვენებას!

იოსებ არიმათიელი

ფურცლები

II

დ. კლდიაშვილი

„ძასში აღძრული იყო რაღაც ახალი აზრი“.

ყოველ გარდამავალ ხანას თავისი მრავალმნიშვნელოვანი მხარე აქვს.

როცა განსაზღვრული დროგადასული სოციალური ფორმა ისტორიას ჩაბარდება და მის მაგიერ აღმოცენებას იწყებს ახალი ურთიერთობა, ამ დროს ეს გარდამავლობის სამკვდრო-სასიცოცხლო პროცესი დიდ ტკივილებს იწვევს, როგორც სოციალურ ფორმაციებში, ისე ინდივიდუმთა ფსიხიურ განწყობილებაში.

აუწერელი და ტრაღიკულია, ზოგჯერ კომიზმით სავსეც, იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომელთაც თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო დღენი გაუტარებიათ ძველ საზოგადოებრივ წყობილებაში.

მათი აზროვნება, ნებისყოფა, მთელი სულიერი მოძრაობა, ახალთან შედარებით, პრიმიტიულია. ამ მდგომარეობაში მყოფი ერთეულები და საერთოდ მთელი წრეც საშინელ ტრაგედიას განიცდის.

დაიშალა ძველი დასაყრდნობი ბაზა და აქ დაიწყო წარმოშობა ტრაღიკომიზმის მრავალ ფეროვანმა სურათებმა.

ასეთი გადახალისება, ახალი ერა, საქართველომ განიცადა კაპიტალიზმის შემოჭრით.

ფეოდალიზმის დამხობის სტიქიური პროცესი ლოღიკური განვითარებით შემოიჭრა ჩვენში და აფრიალდა ახალი ევროპიული დროშა კაპიტალიზმის მომდინარეობისა.

ორი ძალა ერთი მეორეს დაიჯახა. ამ ჰიდილში ბუნებრივი აუცილებლობით გამარჯვებული უნდა დარჩენილიყო ახალი ფორმა საზოგადოებრივ ზედ-ნაშენისა

ფეოდალიზმი, როგორ ც სოციალური იტ პი, ჩ ბარ- და ისტორიის არქივს, მაგრამ მისი გულის სიღრმეში გაბატონებული მთელი პრივილეგიური წრე ხომ ფიზიკურათ ვერ გადაშენდებოდა.

და ეს გადაშენებული წრე იყო ის თავად-აზნაურობა, რომელსაც შერჩა ძველი ფეოდალური ტრადიციები, მორალი და სხ. და როგორც ცოცხალი არსნი სულით დაობლებულნი გადავიდნენ ახალ ფორმაში.

ეს მომენტი იყო როგორც სოციალური დუალიზმი ისე ფსიქოლოგიურიც.

ჩვენმა ლიტერატურამ ეს რუბიკონი რავდენიმედ გადმოგვცა სხვადასხვა სახით.

— —

უარყოფილ წრეში წარმოშობილ ინდივიდუმთა ფსიქიური გადატეხვა, ტანჯვა-წვალება, სიკვდილის პირზე დგომა და საერთო ავონია დ. კლდიაშვილმა თავისი ფხიანი კალმით შესანიშნავი უნარით გადაგვიშალა, მხატვრული ფერადებით დაგვისურათა.

დ. კლდიაშვილმა დაინახა რა ამ ხალხის უნუგეშო მდგომარეობა, სიბრალულით დაუახლოვდა მათ. და რეალური დახასიათებით გაგვაცნო მათი ტრაღიკული სახე.

და მართლაც... „ეს კაცი... სწორეთ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ იყვეს“.

და ასეთი დახასიათებით დ. კლდიაშვილი მგძნობიერ მკითხველს ერთი თვალით ატირებს მეორეთი კი აცინებს.

და, როგორც გულჩვილი ჰირისუფალი, აცილებს საფლავამდინ ამ ცოცხალ ლეშებს.

„წაქცეულს არ სცემენ“ და კლდიაშვილსაც არ უნდა სცემოს მათ. ის მხოლოდ აგვიწერს მათი ტანჯვა-წვალების ცოცხალ სურათებს. და აქ დ. კლდიაშვილი ძლიერი შემომქმედია ქართულ ლიტერატურაში, ნაციონალურ ტიპებ ს დახასიათებაში.

ცოცხალი ადამიანი რაც უნდა უარყოფილი იყვეს ახალი საზოგადოებრივ წყობილებისგან, მაინც ეხტიბარს არ იტეხს და ცდილობს ცხოვრების სარბიელზე დასაყრდნობი წერტილი გამონახოს, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს.

და სწორეთ დ. კლდიაშვილის, ცხოვრებისგან უარყოფილ, გმირებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: უშინაარსო სიცოცხლე ასულდგმულონ.

მაგრამ ცხოვრება ძძაფრია, ცივი და დაუნდობელი. სიპიროა ცხოვრების ყოველმხრივი შემეცნება, რომ მის ზვირთებს გაუვე და საკუთარი „მე“ შეინარჩუნო.

ივანე გომართელი

ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ეროვნულ იდეის ერთი დაუკხრომელი მებრძოლთაგანი. არჩეულ იქმნა დამფ. კრების სახელოვნო კომისიის თავმჯდომარედ.

და უფრო მეტად მძიმეა ცხოვრებასთან ბრძოლა, თუ იარაღი ბრძოლისა და მსოფლმხედველობა ძველი აქვს ადამიანს. ასეთს დროს მებრძოლი საცოდავ სახეს იღებს.

დ. კლდიაშვილის ტიპებიც აქ არიან საცოდავნი.

კაპიტალიზმის ბუნება მათ ვერ. ითვისებს. ისინიც კაპიტალიზმის კანონებს ვერ უგებენ თავსა და ბოლოს და იქმნება დიდი კონტრასტი, რომლის ტრაგი-კომიკური სახეები დ. კლდიაშვილის ტიპთა მთელი გალერეაა.

სოლომონ მორბელაძე „ორი გროშის მოსაპოვებლად“ მ. ჭანკლობას „ხელობათ“ გაიხდის, „ტყუილი“ მისი ერთად ერთი მეთოდია და იარაღი ბრძოლისა.

მაგრამ ამ კაცის მთელი ცხოვრება მაინც უიმედოდ თავდება. ცხოვრება მას, როგორც სუსტ ჭიას, სარკასტიულად დასცინის, და დ. კლდიაშვილის მადლიანი კალმის წყალობით მართლა სასაცილოა, მაგრამ ამასთან სატირალიც.

დ. კლდიაშვილი შეუდარებელია, როცა თვით მდგომარეობას ბუნებრივ სახით გვიხატავს, მაგრამ, როგორც ავღნიშნე, ადამიანი თუ ცოცხლობს და აზროვნებს, მუდამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას იპოვის.

და დ. კლდიაშვილმა ეს ახალი ჩანასახის გამომკრთალი სხივებიც არ დატოვა უყურადღებოდ.

გადაშენების ნაპრალის წინ წარმომდგარი თავადაზნაურობის მთელს წრეს თუ არა, მის გამონაკლისს ნაწილს მაინც უნდა აეღო ალღო ახალ ცხოვრების მსვლელობისთვის და ასეთს ალღოიანობას ჩვენ ვხედავთ „ქამუშაძის გაჭირვების“ აღწერაში.

აქ დ. კლდიაშვილმა ბუნებრივ განვითარებით მიგვიყვანა ქამუშაძესთან, ჩაგვახედა მის დაბნელებულ სულში და იქ მკრთალი სხივი დაგვანახვა, რომელიც იძლევა საბუთს, რომ ადამიანი თანდათანობით იგნებს დუხჭირ მდგომარეობას და მისდა უნებურად ითვისებს ახალ გზამას მომავალში არსებობისთვის.

დ. კლდიაშვილი გველაპარაკება ქამუშაძეზე, რომ მასში, „აღძრული იყო რაღაც ახალი აზრი“ და ეს „ახალი აზრი“ კაპიტალიზმის შემოჭრის გავლენით ხდებოდა.

ქამუშაძის დაბეჩავებული სულის მოძრაობამ ახალი ორიენტაცია მიიღო და ეს ორიენტაცია იყო მდელვარე ქალაქისადმი ბუნებრივი ლტოლვა.

ქამუშაძეს „მისი ოჯახის ამბავი სულ სხვანაირად მოეჩვენა“.

და ეს „სხვანაირად მოჩვენებას“ რეალური სიმბოლო ქალაქის შორეული სილუეტები იყო.

ქამუშაძის სული განმარტოდა, ეულად იქცა, სოფელი ყრუ გახდა მისთვის, მან სოფელში ვერ ნახა დაკარგნობი ნიადაგი და ქალაქისადმი ლტოლვამ მის არსებაში ოპტიმიზმის სხივები მოჰფინა, თითქოს გაქრა პესიმიზმი, იდეალი დაისახა, გგმა გამოიმუშავა „ეგებ იქ (ქალაქში) ეშვილოს კაცს“.

როცა ქამუშაძე ამას ლაპარაკობს, მკითხველს მაინც და მაინც ქამუშაძე არ ეხატება დიდ მებრძოლ გმირად. სოფელში ეკონომიურად დასუსტებული, დაბეჩავებული სკეპტიკად ქცეული. და თუ ქალაქისკენ მიეშურება, მან ისიც იცის, რომ ეისი გაჭირვება იქაც წყაღება. და იქ შექმნილთ ცხოვრების ორომტრიალი მაგრად ჩასჭიდებს თავის ულმობელ კლანჭებს და ამისთვის ის მწარე სევდით დაურთავს „ეგებო“.

ქამუშაძე არ არის რელიგიოზური სული, რომ განყენებულად რწმენას ისახავდეს, ყველაფერი შესაძლებლად მიჩნდეს და მომავალი იდეალურად ესახებოდეს.

დ. კლდიაშვილის ტალანტი კიდევ მეტად აქ უნდა იქნას დაფასებული.

კლდიაშვილმა სწორი და ნათელი სახით განავითარა ჩვენ თვალწინ ინდუსტრიალ რ მუშის წარმოშობის ყოველმხრივი მიზეზები, და ამასთან მის ფსიქიკის მოძრაობის ნათელი დეტალებიც ლამაზად აკინძა.

აქ ოტია ქამუშაძე გაიცნობს „სონიას“ და „პოროფილე ბიაშვილებს“ და როცა გონება უკარნახებს „ეგებო“, ეს ბუნებრივია, რადგანაც ქალაქში ის ისევ სიწყალი დარჩებოდა, იმ განსხვავებით, რომ შეითვისებდა ახალ ფორმას, კოლექტიურ მოძრაობას. მაგრამ ამ უკანასკნელის აღწერამდინ დ. კლდიაშვილი აღარ მიდის. ის უკეთებს ანალიზს სოფელში წარმოშობილ ტიპებს, მათ ანაწილებს კატეგორიებათ, უფრკის ნაწილს სოფლად სტოვებს, რომ თავისი ბუნებრივი სიკვდილით გაქრენ, და მის მეორე ნაწილის, მგზავსად ქამუშაძისა, ქალაქისკენ ისტუმრებს.

კლდიაშვილის სოფრომ ჭინჭარაძე აშკარად ლაპარაკობს კოლექტივიზმის დადებითი მხარეებზე „სადაც მეტი ხალხია, იქ მეცადინე კაცისთვის უფრო შემთხვევაც მეტია იშონოს რამე“. ამ „რამეს“ როგორ იშოვის ადამიანი, ეს ხომ ქალაქის უდიდესი გამოცანაა, რომლის ასახსნელად კლდიაშვილი არ მიდის.

დ. კლდიაშვილმა მრავალ „მეზობლებთან“ ერთად, თავისი ოტია ქამუშაძე დაასახლა ქალაქში, იმ ქალაქში, სადაც „უძლეველად იზიდავდა და იტაცებდა ოტიას“ სულს. „ესენი ჯერჯერობით არც ქალაქში სწერიან და სოფლიური ჩვეულებაზე მცხოვრებნი უდარაჯებენ დროს, რომელმაც სრულიად უნდა გაქანონ ეგინი ქალაქში და დაგეშოს ახალი ცხოვრებისთვის“.

ეს „გაქნა“ უკვე მოხდა, და კიდევაც დაიგეშენ“. დღეს, როგორც ოტია ისე მისი შვილები, აღარ ცხოვრობენ „სოფლიურ ჩვეულებაზე“, არამედ ესხეულენ ქალაქს ერიამულს, და გარდაიქმნენ ახალ სახეებათ.

და ქალაქის ეგოსანი ი. ევდოშვილი მათ, შრომის სტიქიაში ჩამბულთ, ასე უმღერის:

„შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს,
შენ გააკეთე ეს ქანდ კება;
მას შენი ოფლის ბეჭედი აზის,
მას შენი სული თავზე ევლება;
მაგრამ ვისია?...

და ეს საშინელი შეკითხვა „ვისია?“ მუდამ ყურში გასწვიან მრავალ ქამუშაძეს და მისს მზგავსებს.

და დღეს ამ ახალმა ძალამ უკვე იცის, როგორი პასუხი მისცეს ასეთს შეკითხვას.

და ეს ცოდნა სწორეთ საძირკვლად დაედო საქართველოს განთავისუფლების იდეას.

ო. ს. კალანდაძე — აგასოვისა

საოპერო მსახიობქალი. მისი ბენეფისის გამო (სახელმწიფო თეატრში—„ქეთო და კოტე“, თებერ. 16-ს)

საქართველოს დემოკრატიამ „ქამუშაძების გაპირვებისგან“ წარმოშობილმა დღეს გაიმარჯვა, ამაყად იძახის თავის უფლებაზე და კიდევაც იცის ვინ „გაკეთა ეს ქანდაკება“...

და ამ განთიადის გარიჟრაჟზე ბორკილახსნილი დემოკრატია იუბილეს უხდის თავის ძვირფას მწერალს.

დ. კლდიაშვილი ბედნიერია, რომ მისი დღესასწაული არის იმ დროს, როცა განთავისუფლებული საქართველო განახლებულ სიცოცხლეს დღესასწაულობს.

და სიამით აღიავსება მომავალი თაობის გული, როცა სრულიად ჩამოყალიბებული საქართველოს ცხოვრება დამკვიდრდება, და ამ დროს გადაშლიან ბრწყინვალე ხსოვნის წიგნს და მრავალ მნათობელ სახელებთან ერთად დ. კლდიაშვილის ჭაღარით შევერცხლილი ნათელი შუბლი ღვთიური შარავანდედით იქნება გასხივოსნებული.

კ. გერგესელი

ფიქრი საქართველოზე

III

დავით კლდიაშვილი

კაცობრიობის ისტორიას ახსოვს ისეთი მომენტები, როდესაც ამა თუ ამ ერის ცხოვრებას, შინაურ თუ გარეშე ზეგავლენისგან უდგებოდა საბედისწერო წამი: მისი ცხოვრება ეუფლებოდა, დუნდებოდა და მას დამის შავი ჩრდილი და სასოწარკვეთილების ჩაღრი ეფინებოდა.

მაგრამ სწორეთ, აი, ამ დროს, ამ გაჭიანურების ჟამს მას განგებისგან მოვლინებოდა ხოლმე „ვით ციისარეული წარდგენის დროს“, ზეგარდმო მადლით ცხებული პიროვნებანი, რომელთა სიტყვა, რომელთა ძახილი სასიკეთოდ მიბნედილ ერს არკვევდა, ადვიძებდა და ჭეშენდა სიცოცხლისა და იმედის შუქს.

სწორეთ ასეთ სასოწარკვეთილების და უიმედობის ხანას განიცდიდა მესამოცე წლების დასწყისში საქართველო.

რუსეთის ბიოროკრატიის ჟანდარმები ეოფელიგე დონეს და საშვალებას ხმაობდნენ, ჩაეკლათ ჩვენში ეროვნული გრძნობა, ეროვნული თვითშეგნება, რისთვისაც ჩვენი ცხოვრების უოველ დარგში მათ შავი ბრეშეადები ჩაეფლდოთ.

თითქოს ერიც შეგუებია ასეთ ეოფასს, შერიგებია თავის ხვედრსთ — გაბრანდებული იეო და „არსიდან ხმა, არსით ძახილი არა ისმოდა“...

თუ არა ივ. კერესელიძე თავისი „ციისკარი“-თ, რომელიც ოდნავ ბეეუტავდა საქართველოს ჭორაზონტის პირქეშა ცაზე, „ქართლის ცხოვრების“ მაჯა მაშინ ძალზე მისუსტებული იეო.

დგება ბრწყინვალე მესამოცე წლები. ჩვენს ერს ეგდანება ალია, აკაკი, რაფაელი, ალ. მაჩხეტარაძე, ვეტტ. და კრ. ორბელიანები, რომელთა დეთაეი სიტეეა და გმირული სიმღერა მოედო ღამის ბინდ-ბუნდში გაბმეულ საქართველოს და ანამძრავა იგი:

„გაიღვიძეთ, ნუდა გძინავთ,
გაახილეთ ეფეალმ თვალი,
ვერა ხედავთ რა ეჭეშეიკით
გვეგებებეა წინ მერცხალი“ —

კაჭეიოდენ ისინი.

და ერიც გამოერკვა, გამოიღვიძა, მოიეეხრაწა სასოწარკვეთილების შავი ჩადრი, ნელ ნელა გამოვიდა სადთის ძილისგან და იწეო შეკვეშირება, დარაზმეა.

ალია და ავკის მოეეა მრავალი ნიჭიერი მწერალი და მოდგაწე... დაწეო ქართულ ცხოვრების და ლიტერატეურის აღორძინების ხანა.

ერთი ამ ნიჭიერ მწერალ-მოდგაწეთაგანი გახლავთ ღღეგანაელი იუბილიარი, დგაწლით მოსილი დავით კლდიაშვილი.

იგი, სხვებთან ერთად, 30 წ. განმავლობაში თავდადებით ემსახურა თავის მამეელს მძიმე მონობის დროს და ქართველ ერს შეეამსუბუქა მძიმე ხვედრი მონობისა.

მან ნიჭიერად გაალაშალა ქართველი კაცის გულის ნადები და შესანიშნავი ფერადებით დაგვისურათხატა ჩვენი ცხოვრების მრავალი სურათი...

როდესაც მონობის დროს ასეთ ზეამს უმართავდით რომელს მე ჩვენს მოდგაწეს, ამას ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველი ის, რომ ჩვენ ამათი მა პატეავს ვცემდით, ამასთანავე ვეფიტებოდით, რომ არ უდალტებთ მისს იდეალს, მის სულის სწრაფვას, ფიქრს შავთ მდელვარეს „ქართლის ბედი“-თ გამოწეეულს, ვიბრძოლებდით ქაჯეთის ციხის ასადებად და ნესტან დარეჯანის გამოსახსნელად. მეორე ის, რომ ამით ჩვენ დრმა პროტესტს და აღშეოთებას უცხადებდით ჩვენს სულთამხუთავებს, ჩვენს მტანჯველებს.

ჩვენი ფიცი დირსეულად შეგასრულეთ, ქაჯეთის ციხე დავანგრეთ და ეთერავანი ნესტან-დარეჯანი გავანთავისუფლეთ.

ერთი გმირთაგანი და მებრძოლი დგაწლ-მოსილი დავითიც არის.

და მისთვის გამოთექმული ბედნიერებაც ის არის, რომ ახლად განთავისუფლებული ნესტან-დარეჯანი უოველნის

მიშელ დარიალი

მიხეილ ნანობაშვილი, ევროპაში სახელმოხვეჭილი საოპერო მასხიობი. ამ დღეებში პარიზიდან თბილისს ჩამოვა სახელმწიფო თეატრში მონაწილეობის მისაღებად.

მას მადლით მოსილ შუბლს და უკვდავებას მოსახვეჭოთ თვით ადგამს თავზედ უკვდავებისაგე კვირგვინს.

სულმნათმა აკაკიმ იუბილეის დღეს, უკვდავების შარავანდედით მოსილმა, აღტაცებით წარმოსთქვა:

— გმირები ვნახე, ვიხილე,
კმარა დიფი და ნადარა-ო.

დავით კლდიაშვილმა არა თუ ნახა გმირები, არამედ იხილა და იგემა ამ გმირთა ბრძოლის ნაყოფი — მკვდრეთით ამდგარი და განთავისუფლებული საქართველო. მან თვით განიცადა სიტკბობა ამ დიდებულ აქტისა და იხილა თავისი ნატვრა და ოცნება განსახიერებული და ხორცშესხმული.

ამიტომაც მას, ვით მდვ. სვიმონ მოხუცებულს, ეამად შეუძლია სთქვას: „ადსრულდა იგი რასაც ვნატრობდი, აწ განმიტევე მე მონა შენაო“.

გრ. კუნტაულია

ქალის უფლება

მოგონება დ. კლდიაშვილის იუბილეის გამო

ამ დროს, რ[illegible] ძალიან [illegible]ებულია ქ[illegible] თაკლი სიზოგადოება დღესასწაულობს ოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობას დვ. კლდიაშვილისს, უნებლივ მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია ბატიგცემული იუბილიარის სახელთან.

1914 წელს ქ. მოსკოვში ჩვენი სტუდენტობა სათვისტომოებში მარტო ბარტიულ შეხვა-შემოხვათ არ ირთობდა თავს. არსდებოდნენ სამეცნიერო-სალიტერატურო წრეები, სადაც ჩვენი სტუდენტობა იკვებებოდა სულიერი საზრდოთი, რადგან ძველი რეჟიმის უნივერსიტეტი არაფერად არ აკმაყოფილებდა ჩვენს ახალგაზდობას.

ამნაირი წრე დაარსა სტუდენტთა ერომა ჯგუფმა: კითხულობდნენ ლექციებს, მოხსენებებს, იმართებოდა დისპუტები და სხ.

მართალია წრის შემადგენლობა არ აღემატებოდა თორმეტ ახალგაზდას, მაგრამ მისი მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო.

ერთხელ დანიშნეს დისპუტი შემდეგ თემაზე: „მიეცეს ქართველ ქალს იურიდიულ-პოლიტიკური უფლება თუ არა?“.

მე, სტუდენტ ბ. აბულაძესთან ერთად, ვიცავდი განთავისუფლების ბრინციპს.

მოვიყვანეთ მაგალითი, — ძველი საქართველოს დედა, რომელიც ოჯახში პირველობდა და ზრდიდა ნამდვილ გმირებს, მოვიგონეთ მწერალ-ფემინისტები: შოთა რუსთაველი, შ. დადური, დიდე და სხ. და საერთოდ არ დავგრჩა არც ერთი მწერალი და მეცნიერი, რომელნიც კი იცავდნენ ქალის უფლებას, რომ მაგალითები არ მოგვეყვანა მათ მტრებთანაგან.

ბრალმდებლის როლში გამოვიდა სტუდენტი სერგო კლდიაშვილი (ახლანდელ ბელეტრისტი, უფროსი შვილი დავით კლდიაშვილისა).

ღმერთო, რა რისხვით გაბოლდაშერა ფემინიზმის წინააღმდეგ, მოიყვანა ამერიკის მაგალითი, სადაც ქალებს მიეცა პასუხისგები ადგილი და შემდეგში არშიყობის გარდა არაფერი არ გამოვიდა. მოიხსენა შექსპირი, შოპენჰაუერი, ნიცშე, ვეინინგერი, ტოლსტოი, მაჭოიანი, არცაბაშვილი და მრ. სხ. ანტიფემინისტი.

რასაკვირველია სერგო კლდიაშვილი ამნაირ ანტიფემინისტების ჯართან ერთად მშვენიერად გრძნობდა თავს.

„იმედია, ქართველი ქალი არ გაშორდება ოჯახის კერას და აიცავს ოჯახურ ტრადიციებს, ხოლო პოლიტიკის წარმოებას მამაკაცებიც მოახერხებენ.

თვით ბუნებამ ყველას თავ-თავისი დანიშნულება მისცა, და უნაყოფოა ამ დანიშნულებასთან შებრძოლებანო“.

დასრულა თავისი სიტყვა ს. კლდიაშვილმა.

ის კი არ იცოდა სერგომ, რომ ოჯახშიაც დღეგანდელი ქართველი ქალი საკვირაოს უფლების აღდგენას.

უკანასკნელი სიტყვა დამცველს ეკუთვნოდა.

სამართლიანი მოკახსენო სერგოს სიტყვის მერმდეგ ჩემ ოპონენტს ეკრძნა დ. მაგრამ მაგრამ იცავ მომაგონდა დვ. კლდიაშვილის უკვდავი მოთხრობა „მსხვერპლი“, სადაც იგი გამოდის ჩვენში ფემინიზმის მდადადებლად.

რასაკვირველია დვ. კლდიაშვილმა ბევრი მასალა მოიცა სპეციალური სიტყვისთვის.

„და ნუ თუ მარინეს ტანჯვის და მსხვერპლის შემდეგ, ჩვენი ბრალმდებელი უარეოთს ქალთა უფლებას მეთქი,“ დავასრულე ჩემი სიტყვა.

სერ. კლდიაშვილი არ მოელოდა ამნაირ პასუხს.

ნიფიც მსჯავლებმა გამოიტანეს განაჩენი: „მიეცეს ქართველ ქალს თანასწორი უფლება“.

ჩემ გულში მადლობით ვიხსენიებდი დავით კლდიაშვილს, რომ მან გამამეორა უხერხულ მდგომარეობიდან და მიხსნა ანტიფემინისტ სერგო კლდიაშვილისგან.

სვ. წერეთელი

№-ეს

I

ველარ გავსძელი ჩემს ოთახში რა მომაგონდი;
ახალ წიგნებშიც გასართობი ვერა-რა ვპოვე.
და მომაგონდა გუშინ ამ დროს რა რიგ დაღონდი;
და მომაგონდა გუშინ ამ დროს რა რიგ დაგტოვე.

ყური არ უგდე შენს ვედრებას, მხურვალეს, ფარულს:
შენ საალერსოთ მოიწიე, მე ხელი გკარი.
ამბობდი: „დარჩი, შემიბრალე, ნუ გმობ სიყვარულს“.
მე კი შევშინდი და უეცრად გავაღე კარი.

ხელი დაუშვი, უიმედოდ ჩაკიდე თავი
უეცრად ჩაქრა შენს სახეზე სურვილი მწველი;
და შენს თვალებში ისე ჩაწვა სევდა ნაღველი
ვით მთის კალთებში წვება ჯანღი მძიმე და ბნელი.

შენს გიჟურ ლტოლვას, გიჟურ სურვილს გამოვექეცი,
შენ კი ამისთვის მიჯავრდები და მემდურები;
ჩემი თვალები მრისხანებდენ: „რადა ხარ მხეცი,“
შენი თვალები სავსე იყვენ საყვედურებით...

II

დავაგდე წიგნი. პერსიული ჭრელი მანდილი
თავზე გადვიგდე, გავიფიქრე: „ვინ ის, და ვინ მე“!!
მსურდა გცოდნოდა, თუ რა იყო ჩემი წადილი,
მსურდა მცოდნოდა, თუ გიყვარდა ჩემს გარდა ვინმე.

აღმართს ამოვყევ, მიტაცებდა აზრი ციური,
მსურდა მეპოვნა, თუ სად გქონდა იმ წუთში ბინა;
და სიყვარული წმინდა, ნაზი, არ ქვეყნიური,
ამეხსნა შენთვის და შენთვისაც მესწავლებინა.

გზა ამრეოდა სანეტარო ფიქრებში წასულს;
შენც იქვე იდექ, სჩანდა იყავ გამონაშური:
ხელებს უსრესდი აღტაცებით ვიღაცა ასულს,
გიყვარდა იგი, თუ გინდოდა გეძია შური?!!

მე ეს არ ვიცი და არც მინდა გაგება მისი.
დღეს სამუდამო განშორების წუთებმა დაჭკრა:
აღარ ვკითხულობ შენი გული გახდება ვისი,
როცა ჩემს გულში სიყვარული უდროოდ ჩაქრა...

აღარ დაგეძებ, აღარ ვფიქრობ: „სად არს, რას შობა“,
არ მსურს გიხილო, შენც მიჩუმდი და არსად სჩანხარ,
იცი, როგორ მწყინს სიზმარივით რად გაქრა გრძნობა!
იცი, რა რიგად მენანება რომ არ მიყვარხარ!?.

საფო მგელაძე

სამუელ სტოლერმანი

ნიჭიერი ლოტბარი, საოპერო სტუდიის ლოტბრად მიწვეული. რადგან ცოლმა „აბესალომ და ეთერის“ ნოტები დაუხია,—მოჰკლა. ამ ჟამად ციხეშია.

ქართული საოპერო სტუდია

(მოკლე ცნობები)

წარსულ ზაფხულს ქართველ მოშდერალთა კავშირმა კადასწეკვიტა მოეწყო ქართული საოპერო ორგანიზაცია. ამისათვის მან მიმართა ქართულ ამუსიკო საზოგადოების გამგეობას. უკანასკნელმა თავის მხრივ მიმართა კოოპერატივთა კავშირს, როშელმაც თავს ი ვა სამშობლო ხელოვნების მეცენატობა და კადასდო თანხა ამ იდეის განსახორციელებლად.

ვინაიდან ქართული ოპერის სრული საზიანის დაწეება შეუძლებელი იყო, ამიტომ დაარსეს საოპერო სტუდია. უმთავრეს ხელმძღვანელად მოიწვიეს სახელმწიფო თეატრის დიტბარი სტოლერმანი. მასწავლებლად: ქ-ნი ანა ფალიაშვილისა, გოდდანი და რეჟისორად—ჩვენი ნიჭიერი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სტუდიამ შეკვ დაანახვა საზოგადოებას თავისი მუშაობა. გამართა რიდენამე ერთგვარული კონცერტი და რავდენჯერმე დასდგა დ. არაეიშვილის ორიგინალური ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ სხვა და სხვა ანსამბლით.

ამ დღეებში დიდგმის რუბინშტეინის ოპერა „დემონი“ ქართულ ენაზე და ზ. ფალიაშვილის ორიგ. ოპერა „აბესალომ და ეთერი“. მომავალი რეპერტუარი: რ. გოგნიაშვილის „ქრისტინე“ და სხ.

მართალია სტუდიის დასს აქვს თავისი დეფიციტებიც, მაგრამ უფრ არა კაკეთებულია. იმედი ვიქონიოთ, რომ სტუდიის თანამშრომელნი თავისი დაკვირვებული მეცადინეობით მომავალში შექმნიან ქართულ საოპერო სრულ დასს და ააშენებენ საოპერო ტაძარს სამუსიკო საქართველოში.

ქართლ-იმერელი

წ. კ. აქვე ვთავსებთ სტუდიის მონაწილეთა სურათებს. ვ რ მოვიძებეთ სტუდიაში ახლახან მიწვეული ოდა ა სამსონ წერეთლის ასულის სურათი. ეს შემდეგ №-ში დაიბეჭდება. ქ.-ი.

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა

დავით აკოფაშვილი
(ბ ა რ ი ტ ო ნ ი)

ელი ახვლედიანი
(სალირიკო სოპრანო)

სოფიო გაბაშიძის ასული
(კოლორატურული სოპრანო).

ლიდია გოლდმანისა
(პიანინოზე დამკვრელი)

გრიგორი ვენაძე
(სალირიკო ბარიტონი)

ლაზარე იმერლიშვილი
(ღრმა ბანი)

მიხეილ კვალიაშვილი
(ბარიტონი)

ვარდენ ლორთქიფანიძე
(ბ ა ნ ი)

ლევან მაჭავარიანი
(მაღალი ბანი)

ოპერა სტუდია

თამარ ოქროპირიძე
(სოპრანო)

ლადო სვიმონიშვილი
(ტენორი)

ნინო ფავლენიშვილისა
(დრამატიული სოპრანო)

ჟანა ფალიაშვილის ასული
(პიანინოზე დამკვრელი)

გაბო ღვინიაშვილი
(დრამატიული ბარიტონი)

მათე ღლონტი
(დრამატიული ტენორი)

ნინო ცაგარელი
(დაბალი სოპრანო)

ანტონ ჭუმბურიძე
(სალირიკო ტენორი)



ალექსანდრე ახმეტელი
(რეჟისორი)

ალისპანტის ქვრივი

მას ეყაიდა სამგიერო შურისძიებით აეღო პრიზი,—
რჩეული მეფის თავისა მეძღვნეთ ყოლოდა ქართლის დიდი ლევანი.
ორი უყვარდა: ცბიერი განცდით უყვარდა ლევან, უყვარდა რამაზ,—
ეს არის ქალის დანაშაული, ეს არის ქალის ნაკლულევანი...
მან გაამეფა „მათხოვრის ბედი,“ ზიზღით ილოცა მან სიყვარული,
პირად მეფობას აღუდგა მტრადა. ლეკეთის თეთრ ტახტს უთხრა უვარი,
ქმარად შეირთო ღამის ლანდებში ავაზაკურად ტლუდ სიარული
და ივლის მარად გამარჯვებული დამარცხებული ქალი ჯავარი.

1915 წ. **კოკი ებრალიძე**

სანაძლევო

(კატ. მენდესისა)

მაისის დილა იყო. მე და ნინეტი ქალაქ გარეთ გავედით სასეიროდ და ბუნების მშვენიერებით აღტაცებულნი გაჩუმებულნი მივდევით დაბურულ ხეივანს. მყუდროებას მარტო ფრინველების ჟრიამული არღვევდა.

უცბად შედგა ნინეტა და

— თუნდა დაგენაძლევები, რომ ამ წამს ჩემზედა ფიქრობდიო.

— სცდები, კოპწიავ. შენზედ არა ვფიქრობდი,

— სტყუი, სტყუი! ჩემზე ფიქრობდი.

— არა ღმერთმანი.

— მაშ რაზე ფიქრობდი?

— აიმ ვარდზე, ასე რომ ამშვენებს ამ წალკოტს.

— ჰო და მიჯობნია! განა მე ის ვარდი არა ვარ, და ჩემი ჟინიანობა—იმ ვარდის ეკალი?

დავეთანხმე.

ცოტა ხანს უკან კიდევ მითხრა:

— დავნაძლავდეთ, რომ ეხლაც ჩემზედა ფიქრობდი?

— არა, გვრიტო, შენზე არა, წააგებ.

— მოგიგებ.

—წააგებ მეთქი.

— აბა, რაზედა ფიქრობდი?

— აიმ ჩიტზე, იასამანს რომ დასტრიალეს და დასჭიკჭიკებს.

— მიჯობნია, მიჯობნია! განა მე იმ ჩიტივით ლამაზი არა ვარ და იმისავით ტკბილად არა ვჭიკჭიკებ?

კიდევ დავეთანხმე.

ცოტა ხანს შემდეგ კვლავ შემაყენა ნინეტამ.

— დავნაძლევდეთ, მესამედ და უკანასკნელად, რომ ეხლაც ჩემზედა ფიქრობდი.

— ბატონი ხარ.

— რაზე ფიქრობდი?

— აიმ მერცხალზე, თავის ბუდეში რომ ზის და თავის მეუღლის გარდა სიკვდილამდე სხვას არავის შეიყვარებს.

ჩაფიქრდა ნინეტა და...

— გიჯობნიაო, შემომცინა.

ივ. მაჭავარიანი

მონასტერი

უძღვნი მ. ვ—ელს

მიუწდომელი ცა ჩამავალ მთვარისგან იწვება და კაეშანივით შავ მურს აღვენთებს შავბნელ დედამიწას...

ჩემი მშფოთვარე სული ძიებით მოქანცული ეძებს თავშესაფარს, მოსვენებას...

სადღაც, ყელსაბამივით ფიქვებით შემოვლებულ მონასტერში მოსჩანს მბჟუტავი სინათლე... ირგვლივ კი უკუნეთია...

ვინ იცის რა ხდება იმ განათებულ სენაკის სარკმელში?! ვინ იცის, იქნებ საღოცებით აღტყინებული, მუხლმოდრეკილი მონაზონი უმანკო ცრემლით ღაწვებს აწვიმებს და უფალს კი შეჰვედრის უცოდველ სულს მისაღებად წიაღსა შინა...

მცივა... სიბნელე მაშინებს...

ესურს თავი შევაფარო იმ ადგილს, სადაც საღოცების და მაღალი ღვთაების დიდების ხმა ითხზება, სადაც შეფარებულან ცხოვრების ყოველდღიურობის უარმყოფელნი და ენებათა ღელვის სიცელქე ჩაუკლავთ მარტოოდენ ლოცვა-ვედრებაში...

სადაც ძვირფასი ფარჩა შეუცვლიათ უგემურ თალხ სამოსად და ამ ქვეყნიური ლხინი—გულის დასამარებით...

უახლოვდები მონასტრის ზღუდეს...

მაგრამ... კარები მაგრაა დაკეტილი... ისევ მოსჩანს სარკმელში მბჟუტავი სინათლე და—ისევ სულ-შემხუთველი დუმილია ირგვლივ. ცას კი ჩამავალ მთვარისგან ცეცხლი მოჰკიდებია და კაეშანივით შავ მურს აღვენთებს დედამიწას...

ჩემო გვრიტო, შენი თვალებიც ხომ ცაა, რომელიც იწვება გიჟურ ლტოლვისაგან და ჩემ გულს აღვენთებს ღამესავით შავ კაეშანს, და შენი გულიც ხომ დახურულია მონასტერივით?!.

არჩილ მაჭავარიანი

უანგარო მიჯნურნი მ. შავგულიძე და გალინა ციცაძის ასული

მიხეილ (მიშა) იოსების ძე შავგულიძე, ჯარში მოხალისეთ გასული, ახალციხიდან გერმანიის ფრონტზე გაგზავნილი, საიდანაც ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლეს და თბილისს გამოგზავნეს სამკურნალოდ, მაგრამ სამშობლოს რომ გასაჭირი დაუდგა, თავის ნებით იარაღი აისხა და სამშობლოს მტრებს ეკვეთა. მონაწილეობდა ბანძაში (სენ. მაზ.) და ლეჩხუმისკენ, სადაც ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ეს ამბავი რო მისმა დანიშნულმა გალინა ციცაძის ასულმა შეიტყო, თავი მოიწამლა და სიკვდილის წინ შემდეგი ბარათი დასწერა: „რადგანაც ჩემთვის გასჭირდა ცხოვრება და ჩემი სულის ამოთქმა გარდიქცა ტკივილად მოვდივარ შენთან სულის და გულის დასამშვიდობებლად“.

ქართული პოეზია

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 3)

არა ერთხელ დასმული ტანჯვის პრობლემა როგორც ფილოსოფიის სამყაროში აგრეთვე პოეტური ფილოსოფიის სამფლობელოშიაც.

ამ შემთხვევაში ამ ორგვარ ფილოსოფიის გამიჯვნაში ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ა. ლუნაჩაოსკის მოსაზრებას. პირველ შემთხვევაში ფილოსოფია, როგორც ასეთი, მეცნიერებათა დისციპლინიდან გამომდინარეობს. იგი ცოდნის შეძენის ძიების საშუალებაა. ყოველ მეცნიერების ცალკე დასკვნებს იგი აერთებს, აგუებს, სინტეზს უშვრება.

„პოეტური ფილოსოფია“ კი, სურათოვანი დასაბუთებაა ნაზრევისა, შეცნობილისა. იგი უფრო მჩატეა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

პოეტ-ფილოსოფოს თუ ფილოსოფოს ახასიათებს ორი რამ: ეს არის მისი მსოფლიოსა და ცხოვრების ასე თუ ისე შეგრძნობა (жизнь и міро очущеніе) და ცხოვრების და მსოფლიოს ასე თუ ისე შეგნება (жизне и міропониманіе)

პირველი გრძნობა ეკუთვნის მგოსნის ან ფილოსოფოსის გრძნობათა კომპლექს, მის ზოგად სულის განწყობილებას, მისგან ამა ქვეყნის მიღებასა თუ არ მიღებას. მეორეს ძირი აქვს, გონება-ინტელექტაში, მისი ელემენტებია ცნებები და წარმოდგენანი, ის ნაყოფია თეორიულ აზრის მუშაობისა. ცხოვრების და მსოფლ-შეგრძნობის ესა თუ ის ფორმა შედეგია მგოსან ფილოსოფოსის გრძნობათა უურთულეს მოძრაობისა, მათი ძნელად მისაწდომ კომბინაციისა, რომელიც, დაბოლოს, შექმნის ერთ გარკვეულ ჩამოყალიბებულ სულის განწყობილებას და რომლის თავისებურობის ძირი შეერთებულია უხილავ და რთულ ფსიქოლოგიურ ძაფებით სოციალურ კოლლექტივთან. ეს მხარე გახსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებაა მგოსან-ფილოფოსისა.

ცხოვრების მსოფლ-შეგნება კი ახასიათებს, რასაკვირველია, ყოველ მწერალ-თეორეტიკოსს. ეს ორი მხარე ერთს ინდივიდუმში სრულ ჰარმონიულ განწყობილებაში არიან. ერთი იმათგანი მეორიდან აპრიორულად (წინდაწინვე) გამომდინარეობს.

აი ამ საზომით მიუდგებით ჩვენ ჩვენი პოეზიის მგბაირახტრეთ. რასაკვირველია, ყველა პოეტ-მგოსნად წოდებულს ვერ გავარჩევთ, მაგრამ ქართულ პოეზიაში არსებულ ტენდენციის გამოსარკვევად ჩვენ ვეცდებით, შეძლებისდაგვარად შევასრულოთ ჩვენი დანიშნულება.

— —

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ ტანჯვის პრობლემა პოეზიაში. ეს პრობლემა თითქმის დღესაც კი გადაუჭრელია და ვფიქრობთ სანამ ადამიანში აღარ მოკვდება ცოცხალი ბუნება, იარსებებს უჯრედები ეს პრობლემაც მუდამ იქნება, მუდამ იარსებებს, რ.დგან სიცოცხლის რეაბილიტატორები მუდამ იქნებიან პარალელურად სიცოცხლის დამსამარებლებთან.

ჩვენს ახალ პოეზიაში სიცოცხლის პრობლემა ტანჯვის პრობლემას დაუკავშირეს. სიცოცხლე თვით მიზეზია (самопричина) causa sui (სპინოზას ტერმინი) შეიძლება ყველაფერზე ვიკითხოთ: რატომ? რისთვის? მაგრამ რატომ არის, სიცოცხლე ასეთი კითხვის დასმა ყოვლად მიუღებელია, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, სიცოცხლე causa sui თვითლირებულებაა.

ყველაზე მეტად ძლიერად სიცოცხლის და ტანჯვის პრობლემა ერთმანეთთან დაკავშირებულია გ. ტაბიძის პოეზიაში. აქ სიცოცხლის კითხვას განკერძოებულად ტანჯვის პრობლემასთან თქვენ ვერ აღმოაჩენთ. ამით გ. ტაბიძესაც შეუძლია იამაყოს. ტანჯვის რელიგიას დოსტოევსკის შემოქმედებაში მთ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ამ რელიგიაში ღრმად გადაიშალა რუსის ხალხის ინსტიქტიური სოციალური მოტივები და ეს მოტივები ორგანიულად დაუკავშირდა ევროპის ცივილიზაციას იმედ გაცრუებულ რუსეთის ინტელიგენციის გონებრივ სიმდიდრეს, ხოლო დოსტოევსკის მიერ შექმნილი ტანჯვის რელიგია ერთი უდიდესი მომენტი იყო სოციალურ ელემენტთა ერთს ორგანიულ მთელში ჩამოსხმისა.

გ. ტაბიძეც ჩვენში ეძიებს იმ შინაარსს და იმ სისტემას, რომელშიაც მას შეეალება ეს სოციალური ელემენტები შეჰკრიბოს. და მოგვცეს მოლიანი დამთავრებული პოეტური სისტემა გ. ტაბიძეს პოეზიაში არის ტენდენცია ამ გზისკენ და მიუღებლად უნდა ჩავთვალოთ ზოგიერთ დამფასებელთა მოსაზრებანი, ვითომ გ. ტაბიძეს მოვალეობას მომავალში ის შეადგენდეს, რომ დასტოვოს ძველი გზა და ახალს დაუბრუნდეს. ასეთი მოსაზრება განსაკუთრებით ეყრდნობა იმ ოპტიმისტურ შეხედულებას, რომ სიცოცხლე რეალობაში პოეტურიც არის და სათაყვანო. ჩვენ კლასიურ თვალითა ხედვის ისრით უყურებთ ჩვენს პოეზიას.

II შავი ზღვის სანაპიროს უფროსი პოდპორუჩიკი
იური ლუკას-ძე არაშიძე.

რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა 10 აპრილს, 1918 წ. ვაშნარში (ოზურგეთის მაზ.) ოსმალეთთან ბრძოლის დროს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჩვენი“ ვამართლოთ, „სხვისი“ ვამტყუნოთ. ჩვენ მიზეზებით ვხსნ თ ამა თუ იმ მოვლენას და შეს.ძლებლადაც ვცნობთ მომ.ვლის პერსპექტივების დაახლოვებით აქედ ნვე განჭვრეტას.

გ. ტაბიძემ თავის პოეზიაში სწორედ ორი ელემენტი აიღო. ეს არის ინტელიგენციის, როგორც ასეთის, მოტივი „სევდის ტანჯვის პრობლემა“. ვ. ხუროძე სიმართლეს დაუახლოვდა, როდესაც „ცისარტყელას“ № 2. სოციალური პირობები ახსნა გ. ტ-ძის პოეზიისა, ხოლო ჩვენის მხრივ ვიტყვით, თვისი მსოფლ-შეგნება გ. ტაბიძემ ბოლომდი უნდა მიიყვანოს და კერძო ფორმულა მისი გაასაზოგადოებრივოს. აქ იქნება სწორედ ტ-ის უღრმესი მნიშვნელობა და ტალანტი. და ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ ტ-ძეს სკოლა არა აქვს, თუ აქვს ძლიერ სუსტი და უმნიშვნელო.

ტ-ძის პოეზიაში ძალაუნებურად შეეა მესამე ელემენტი—ეს სულ ახალი ინტელიგენცია, დღევანდელი, რომელიც სრული ანტიტიპია ძველი ამათ წლის წინანდელ ინტელიგენციისა.

მეორე წიგნი გ. ტ-ძის ნაწერებისა ამას შესაძლებ.ლად სცნობს

ფორმა გ. ტ-ძის შემოქმედებისა არსებითად არ გაინირჩევა სხვა ჩვენში კარგად ცნობილ მგოსნების ნაწარმოებთა ფორმებისაგან. (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასონანსებს)

და ამიტომ ამაზე შემდეგ, როდესაც მივალთ საერთოდ ჩვენი პოეზიის გარეგნულ ფორმამდე.

პ. კეკელია

ძილშიც იფხიზლე!

ჩვენი სახელმწიფო უკვე ჩვენს საკუთარ ძალღონეს მიეყუდნა, ხოლო ხალხმა, ერმა იგრძნო, და განიცადა თუ არა ეს დიადი მოვლენა?

თითქმის არა!

დღეს თითოეული ჩვენგანი, ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი, რა ხელობის, წოდებისა და სქესისაც უნდა იყოს ძილშიაც უნდა ფხიზლობდეს, ნაკისრ საქმეს მთელის თავისის არსებით ასრულებდეს, წმინდა შრომით მეცნიერება—ხელოვნების ტაძარს ამშვენებდეს, დაუცხრომელი მუშაობით ქვეყნის დოვლათსა ჰქმნიდეს, რათა ქვეყანა ჩვენი გაბრწყინდეს ცოდნით, ქონებით მოღონიერდეს, ნივთიერად წელში გაიმართოს, ზე წამოდგეს და მზეს თვალები გაუსწოროს.

ამის მაგიერ რას ვხედავთ?

საზოგადო დაწესებულებანი აიღეთ: გაუთავებელი ლაპარაკი...

სასწავლებ(ღ)ები—ან ცუღლუტობა, ან მეცნიერების ძიების მაგიერ ტალონში გაუთავებელი არშიყობა, ან—ახ, ერთი ელექტრო ჩაქრესო, რომ...

დროს დაფასება ხომ სრულიად მეტ ბარგადაა მიჩნეული.

რაც ჩვენს ხალხს შეუძლიან, სამწუხაროდ, დღეს მისს მეათედს არ იჩენს. თითქოს უმეტესობას უქნაროობის სენი შეეყარაო,—მინდვრის მშრომელი, ქარხნის მუშა, მოხელე, მასწავლებელი თუ მოსწავლე მხოლოდ გარეგნულად ასრულებს თავისს მოვალეობას, ქვეყანა კი იფიტება...

ვაი იმ ქვეყანას, სადაც პატიოსანი და ბეჯითი შრომა არ ბატონობს... ვაი, იმ ხალხს, ვინც მუყაითი შრომის წმინდა ოფლში არ ბეღრაობს საქვეყნო დოვლათის შესაქმნელად, მეცნიერება-ხელოვნების ასაყვავებლად.

ჩვენი თავი ჩვენ მხოლოდ მაშინ მოგვეყუდნება, როცა თითოეული ჩვენგანი თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს...

და აქეთკენ მოვუწოდებთ ჩვენის ქვეყნის ყველა ერთგულ შვილს, ვისაც საქვეყნო ზრუნვა წმინდა მცნებად მიუჩნევია და სამშობლოს თავისუფლება მხოლოდ ცარიელ ბგერად არ უჩანს...

ძილშიც იფხიზლე!—აი რას ჩაგვძახის ჩვენი დრო.

ექიმი შეფდოკმანი

ქართული კლუბის სცენაზე შაბათს თებ. 7 ახალგაზდა ქართ. მსახიობებმა წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის „სულელი“.

პირველ რიგში აღსანიშნავია მ. ჭიაურელი. კარგეული დიქცია, გრძობა—განცდა, მხატვრული მიმიკა და უმთავრესი შეთვისებულ-შესწავლილი სასცენო სკოლა. აი, მისი დირსეული მსახიობობის თვისებანი. მან უნაკლულოდ გადმოგვცა პიესის მთავარ გმირ გიორგი ბარათაშვილის სულიერი განცდა. როდი, როგორც სხვები ამ პიესაში, მკრთალია და ნიჭიერი მსახიობი უნდა იყოს მისი ამსრულებელი, რომ მოახდინოს კარგი შთაბეჭდილება. ჭიაურელის ნიჭმა დასძლია ეს ნაკლი და ბ ვისი შვენიერი თამაშით გადაუჭარბა ყველა ამ რომლის ამსრულებელ ქართველ მსახიობთ. განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც სიყვარულის გრძნობა მ.სში უსუსტებს ტერორისტულ ენერგიას.

მ. ჭიაურელი—მეტად საამო მოგონაა ჩვენს სათეატრო ხელოვნებაში და საზოგადოების მეტი ყურადღების დირსია.

აღსანიშნავია ქ. ანჯაფარიძის ასულიც. გრძნობა-განცდა, მიმიკა, ტეხნიკა—ამ ახალგაზდა მსახიობ ქალს შვენიერი აქვს. მხოლოდ აკლია ხმის სიძლიერე, ჩრდილავს ერთიერთ ფენებსაც. მაგრამ, იმედია, შემდეგში მსახიობი გავარჯიშებით ამ ნაკლს აცილებს.

კარგი იყო ა. ქიქოძისა, სუსტობდა ძნელაძე, თუმცა მას, როგორც ნიჭიერ მსახიობს მეტი შეუძლია და მოეთხოვება კიდეც.

დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ. ზოგი რადენი არ იცოდენ. გულისკენაა, რომ ისეთი ნიჭიერი მსახიობნი, როგორიც მ. ჭიაურელი, ანჯაფარიძის ასული, ბეჟოვანი, ა. ქიქოძე და სხ. საქართველოს დედაქალაქში უბინოდ არიან კარგს იხამდა კლუბის მამასახლისია ს ბეზა, რომ რუსუ- კონცერტების და თეატრების მაგიერ, ქართველ ახალგაზდა და დამსახურებულ მსახიობთა წრე შეეგროვინა და ამითა ბატარა ბინა ბ.ცა მათთვის, ვიდრე ახლად არჩეული დრამატიული საზოგადოების გამგეობა არ კადწეეტეტეტ ჩვენი დრამის და კერძოთ საოპერო შენობის საკითხს.

ამითი იგი დიდ მადლობას დაიმსახურებდა ქართველ საზოგადოებისგან, რომელიც აგრე დაობდებულია ქართულ დრამით.

არტისტიულ საზ-ის თეატრში თებ. 9 საოჟენ მწერალ მსახიობ ი. ტურ-გრიგორიანცის 50 წლ. იუბილე გაიმართა. დიდგა საუნდუკიანცის ბიესა „ბუბა“. მ.რთალია საუნდუკიანცის ბიესები ქართულ სტენაზე უკეთ ადგმება, მაგრამ სომხის მსახიობებმაც გვარიანად ჩაატარეს. განს. კუთრებით კარგები იყვენ თვით იუბილიარი—ვრუთინი და ბაბელიანი—ბეზა.

ბოლოს გაიმართა მიდოცვები. იუბილიარი სცენაზე გამოიყვანეს დამსახურებულმა მსახიობებმა ვასა ბაბაძემა და ტურ-დავითიანცმა. იყენე ტურ-გრიგორიანი მთელი 50 წ. უმსახურია ქართველ ერში სომხურ და ქართულ სცენებს, განსაკუთრებით სასაღხო სცენას და ამითი დამსახურა გულწრფელი მადლობა, ამ გრძნობამ იფეთქა მიდოცვებში. მიულოცეს მრავალმა საზოგადოებამ და ამხანაგებმა; ქართველების მ.რიგ მიულოცეს დრამ. საზოგ. სახელით ა. ფალავა, მეწერალთა კავშ. გ. ალდრონიკაშვილმა, მსახიობთა კავშ. დ. ძნელაძემ და „თეატრი ცხოვრებ“ს რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა. განსაკუთრებით ადტაცებით მიეგება ალმსწრე საზოგადოება ჩვენი სტენის ვეტერანს, უბინოდ დარჩენილს ვასა ბაბაძეს და იოსებ იმედაშვილს. უკანასკნელმა თავისი მისასალმებელი სიტყვა სომხურად დასთავა და იუბილიარს სალამი უძღვნა, როგორც ხელოვნების უნაგარო მუშაკს და ხელოვნებით ერთა სოდალარობის მოტრფიალეს. იუბილიარმაც მშვენიერი სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა და სომხურ თეატრის ასაშენებლად 50 ათასი მან. შესწირა. „მ.ტი კი ვარ მაქვსი“ სთქვა იუბილიარმა.

ჯილალი

სახალხო თეატრი ობიდანში ეროვნულ-ერთიანი რომელიც ასეულ-ბგმულებს ხელოვნურ სათეატრო ხელოვნებას. სტენის მოყვარეთა სასახელო უნდა უნდა ითქვას, რომ მათმა მეუბობამ უკვე ნაყოფი გამოიღო. პიესები შედარებით უკეთესი ანსამბლით იღგმის, მხატვრული მოდანობა. მოდანია და ხალხიც კმაყოფილი. ხალხი კი მუდამ დიდძალი ესწრება. ზოგჯელ ხუთმანათიან ბილეთებში 50 მან ძალეგენ. სახალხო სახლის დარბაზი ვედარ იტევს მსურველთა და ამის ანკარიშიანუნდა გაეწყობ.

თებერ. 8 წრეს წარმოადგინა „სიძე-სიმამრი“ და „ბკეთის მწერ“. ნ. გოცირიძის, ვ. მინდიაშვილის, თავდგირიძის, ნინოანის და მარგველაშვილის შეხმატკბილებულმა ადბრეულებამ „სიძე სიმამრი“ საუცხოოდ ჩაატარა. „ბკეთის მწერ“-ში ნ. გოცირიძე და გ. ანაშვილი შეუდარებელნი იყვენ ოდესაც თითქო ზოგან რადენ არ იცოდენ.

მოელ დარბაზში ხარხარი იყო, ტეკვარსად.—მადლობის დირსია წრე ასეთი შეეითი მუშაობისთვის.

ურავანო

*) ავტორის თხოვნით უცვლელად იბეჭდება. **რედ.**

ია რ მ უ კ ა ვ ი

(სცენა)

იარმუკაში მეთევზეებს თევზი ბლომათ მოსვლოდათ და ერთმანეთს ეჯიბრებოდენ გაყიდვაში. თანაც ყვიროდენ:

— „აბა, ლოქო... აბა ლოქო, ლოქო, ლოქო!... გირვანქა ათი მანეთი—დესიტ რუბლი, ათი მანეთი დესიტ რუბლი... ოხ, ოხ, ოხ, რა ლოქოა, რა ლოქო, სამ პრიშოლ სამ უშოლ, თავის თავათ ხტუნაობენ—თამაშობენ!.. პაპა, პაპა, იფ, იფ, ამის მჭამელი ან დღე მოკვდება ან ღამ...“ სიტყვა არ დაათავებინა ვიღაცამ და ჰკითხა:

— პაჩომ ფუნტ?

— ადინაციტ რუბლი, გოსპოდინ, ნო დლა ვას დესიტ რუბლი.

— ჩტო ტაკ დოროგო?..

— გოსპოდინ ნა დესიტ რუბლი ეტა რაზე დოროგო, ვსე როვნო კაკ 10 კოპეიკ.

— ხარაშო, სვესტე მნე დვა ფუნტა.

— სიჩას გოსპოდინ. ტო�ro ტიგრან, შაქრო, ორი გირვანქა ლოქო თავის კარგი თავით მოართვი,—დაუძახა მეთევზემ ბიჭებსა; იმათაც სისწრაფით აუწონეს და მიართვეს თევზი.

— რა უბედურებაა, ამოდენა თავის დაწონვა იქნება ორ გირვანქა თევზზე?

— ჩტო ვი გოვორიშ გოსპოდინ, საცა თავი არ არის, იქ ბოლოკ არ ვარგა. თუ გინდათ გემო გაიგო.

— კაკი ჩარტ? მე რა გოსპოდინი ვარ, გოსპოდინები თქვენა ხართ, რომ ასე ძვირად ჰყიდოთ და ხალხს ტყავს აძრობთ.

— უკაცრავოთ, ამხანაკო, მე რომ ძეგველოვები და გოგინოვები მუქთათ მაძლევდენ, მაშინ ოთხ მანეთათ მოგყიდიდი გირვანქას.

— თუ ამხანაკები ვართ, მა'მ მოდი ქონება გავიყოთ.

— ვა, ვა, ვა! ეს რა ბალშევიკური ვინმეა!.. კარგი, მამა გიცხონდება დაააა... ორი გირვანქა თევზი გიყიდნია, ქონების შუაზე გაყოფას მიპირებ.

შენ რომ ბოლშევიკების ამხანაკების კომიტეტი იყო, იარმუკას ხომ სამ დღეში დაჰკეტავ? ხელი აიღე პოკოლუსტა. თევზი ეგ არის, ფასიც ეგ აქვს, ხოჩიშ ვაზმი—ხოჩიშ ნეტ დაააა...

მყიდველმა ფული მისცა და თან ბურტყუნით წავიდა: თქვენი განკითხვის დღეც ჩქარა დადგება და მეც მალე განახავთ წურბელებს ერთად ფრთებ ჩამოშვებულებს...

წითელ-რაზმელი



ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

საშუალო ისტორიისსახელმძღვანელო პროფ. ა. ვულფიუსისა. ჯიხაიშის გიმნაზიის დირექტორის სერ. ცაგერეიშვილის მიერ გადმოკეთებული და დასურათებული.

საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებისა და დამოუკიდებლად არსებობასთან ერთად საჭირო და აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა სხვათა შორის სკოლის გაეროვნებაც, რაც უპირველესი პირობაა ჩვენი მომავალი კულტურულ და ზნეობრივ აღორძინებისა... თუმცა თავიდგანვე დაიწყო ამ მხრით მუშაობა, მაგრამ ზოგიერთი საშუალებანი აფერხებდა საქმეს: ქართველ მასწავლებელთა გაეროვნებულ სკოლებისთვის მოუმზადებლობა და ქართულ სახელმძღვანელოთა უქონლობა. როგორც სჩანს ეს დაბრკოლებანი ნელნელა იძლევა და სწარმოებს ამ მიმართულებით მუშაობა. ძალიან სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ სახელმძღვანელოთა შედგენა და გამოცემა მრავალი საჭირო სახელმძღვანელო უკვე არსებობს ქართულ ენაზედ.

ჩვენ წინ ძევს ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო, რომელიც საჭიროა საშუალო სასწავლებელში სახმარებლად. შედგენილია ცნობილ პროფ. ვულფიუსის წიგნის მიხედვით, რომელიც არსებობს რუსულ ენაზედ. იწყება რომის იმპერიის მე IV საუკუნიდან (ფეოდალურ-კათოლიკური ევროპის ზრდა) და თავდება კათოლიკური ეკლესიისა და პაპების ბატონობის დაცემით. დაწერილია მოწაფეთათვის გასაგებ და მარტივი ენით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გრამატიკულ გადახვევებს. მოკლედ, მაგრამ ნათლად გაშუქებულია ყოველი ღირსშესანი. შნავი საკითხი საშუალო საუკუნისა მაგრამ წიგნს ზოგიერთი ნაკლიც აქვს. ის არ არის სრული, როგორც თვით შემდგენელი აღნიშნავს თავის ბოლოსიტყვაობაში, ამ წიგნში საშუალო საუკუნის ხელოვნებაზე არაფერია ნათქვამი იმ დროს როცა ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო საუკუნის შესწავლისათვის.

ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ ამით დავკმაყოფილდეთ და უნდა ვეცადოთ უფრო ფართედ და მრავალ მასალის და წყაროების საშუალებით შევსებული გამოცემა მივაწოდოთ ჩვენ სკოლებს. იმედია ბ-ნი ცაგერეიშვილი მომავალში შეავსებს თავის წიგნს და უფრო ვრცლად გაშუქებს თვითეულ საკითხს საშუალო საუკუნისას.

წიგნში მრავალი სურათია მოთავსებული, შეიცავს 136 გვერდს. სუფთად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 30 მანეთად. გამოცემა ეკუთვნის თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. და, შედარებით, არ არის ძვირი.

ამი.

ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია. მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა შედგენილი თბილ. ვაჟთა IV გიმნაზიის დირექტორის მ. ყ. ზაალიშვილის მიერ.

ბუნების მეტყველება ფრიად საყურადღებო და საინტერესო მეცნიერებაა. განიყოფება რამდენიმე ნაწილად, თითეული ნაწილი იკვლევს ბუნების განსაზღვრულ სამეფოს. ამ პატარა გამოცემაში მოთავსებულია ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია საუბედუროდ ეს წიგნაკი ვერ იძლევა სრულ და მთლიან სურათს ადამიანის ანატომიურად და ფიზიოლოგიურად შესწავლისათვის. აქ ძალიან მოკლედ არის აღნიშნული და აღწერილი ადამიანის ნაწილები და მათი ფიზიოლოგიური პროცესი. უფრო კონსპიკტიური ხასიათი აქვს. სასურველი იყო ზოგიერთი ტერმინების განმარტება. ენის მხრივ წიგნაკი ბევრ ადგილს სუსტობს (მაგ. გვ. 83 „ძუძუების ჯირკვლები შესდგებიან ცხიმის ჯირკვლების მსგავსი ჯირკვლებისაგან“ და სხვ.) წიგნში მრავალი სურათია მოთავსებული. შეიცავს 100 გვერდს და ღირს 15 მანეთ. გამოცემა ეკუთვნის თ. ა. მთავრიშვილსა და ამხ. და შედარებით არ არის ძვირი.

ლარი

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲖᲘ

დ. კლდიაშვილის იუბილე გაიმართება დღეს თებ. 15-ს. სახელმწიფო თეატრში შემდეგი პროგრამით. 1. ივ. გომართლის რეფერატი, 2. მილოცვანი, 3. უბედური, ვოდ. I მოქ. 4. დარისპანის გასაჭირი. კომ. I მოქ. მონა წილეობენ საუკეთესო ძალნი.

ქართულ კლუბში ქართული წარმოდგენები აღარ იმართება. ქართველი მსახიობნი ზოგი უალაგოდ დარჩა, ზოგი სახალხო აუდიტორიებში დაიფანტნენ.

ქართველ სტუდენტთა დღემ ბრწყინვალედ ჩაიარა. მარტო თბილისმა მისცა ორას ათასზე მეტი შემოსავალი.

ქართველ მწერალთა ყრილობა გაიმართება ქ. თბილისში თებ. 29.

თბილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა იძულებით ჩამოერთვას იუზბაშევს არტისტიულ საზოგადოების თეატრი.

დირიჟორმა სტოლერმანმა, რომელიც სათაეგში უდგია ქართულ საოპერო სტუდიას, მოჰკლა თავისი ცოლი. სტოლერმანი შეიპყრეს. ამ ამბავმა ქართველი საზოგადოება დაღონა.

ქართველ მსახიობებმა თებერვლის 4-ს, არტ. საზ. შენობაში დასდგეს დ. ერისთავის „სამშობლო“.

ლანჩხუთის არსებული სათეატრო დარბაზი გადადის ლანჩხუთის სარაიონო გვარდიის შტაბის ხელში

მსახიობი ალ. ჯაყელი მიწვეულია ლანჩხუთის სარაიონო გვარდიის თეატრის რეჟისორად.

ახლო ხანში ქ. პარიზიდან (საფრანგეთიდან) დაბრუნდება ოპერის მსახიობი ცნობილი მომღერალი მიშელ დ'არიალი (ნანობაშვილი) რომელმაც თავის გასტროლებით ამ 7—8 წლის წინათ აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში.

ეერანის გამოჩენილი კომიკი მიხ. ჩერნოვი ჩამოვიდა და გამართა რამოდენიმე წარმოდგენა.

სახელმწიფო თეატრის ოპერის ამხანაგობა ამზადებს ქართულ ორიგინალურ ოპერას. კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის „კერპია“ დამხობა. „ს. ახლო მომავალში ქართულ ენაზე დადგმის როსინის ოპერა „სევილიელი დალაქი“.

მომღერალ ბარიტონ ქარცივაძის დებიუტები სახელმწიფო თეატრში აღსანიშნავი: ქარცივაძე თითქმის სრული საოპერო მსახიობია.

თბილისში მოელიან მომღერალ სობინოვს.

სომეხ მწერალს დ. დრამატურგს ტერ-გრიგორიანცს შეუსრულდა 50 წელ. საზოგადო მოღვაწეობისა. მისი იუბილე გადიხადეს თებერვლის 9

ბათომში ნინოობას გაიმართა ტრადიციული ქართული საღამო. ი. სარაჯიშვილის, ინაშვილის, გრიშაშვილის და თაგუნას მონწილეობით. შემოსავალი ორ მილიონამდეა, რომელიც გადაეცა ადგილობრივ ქართულ სასწავლებელს.

სვ. წერეთელმა დაამთავრა შრომა: სამი უმთავრესი თეზისი დ. კლდიაშვილის შემოქმედებისა: „სოფელი, იუმორი და ფემინიზმი“. კრიტიკ. განხილვა. სწერს ახალ შრომას „ქართველ ინტელიგენციის ტრაგედია“-

დ. კლდიაშვილის იუბილეს გამართვა განუზრახავთ ქუთაისს, ბათომს, თელავს, თბ. მუშათა ცენტრ. კლუბში, ქართულ კლუბში და სხ.

დღეს საღამოს სახელმწიფო თეატრში დ. კლდიაშვილის 50 წ. მოღვაწეობის იუბილე იმართება. დღესასწაულის შემდეგ ქიმერიონში საპატიო ნადიმია განზრახული.

— **ახლო მომავალში** ჩვენ ჟურნალში დაიბეჭდება პ. მირინიშვილის საოპერო გამზადებული ლიბრეტო **„პრომეთე“**, რომელიც დაწყობილია დუტუ მეგრელისა და არჩილ მაჭავარიანის პოემების (პრომეთეზე) მიხედვით. ლიბრეტო გადაეცა კომპ. კ. ფოცხვერაშვილის.

— **თებერვალში გამოვა** ახალი სალიტერატურო ფურცლები „თებერვალი“ ახალგაზრდა მწერალ-პოეტთა მონაწილეობით.

— **პ. მირიანიშვილს** მიმდინარე წელში ურულდება 35 წ. საპედაგოგიო და სამწერლო მოღვაწეობისა.

— **ახალი წიგნი** დაიბეჭდა და გამოვა პროფ. აკაკი შანიძის წიგნი: სუბიექტიური პრეფიქსი მეორე პირისა **და** ობიექტიური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. გამოცემა თბილისის უნივერსიტეტისა.

ქ. თბილისში ჩამოდიან მრავალი რუსი მსახიობნი, მხატვრები, მუსიკოსნი, ლიტერატორნი, რომელნიც გამოეცქაენ ბოლშევიკებს.

კაპელას კონცერტი გაიმართა ქართულ კლუბში თებერვლის 5-ს, სრული ახალი პროგრამით. ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში კაპელა გამართავს დიდ კონცერტს ნ. სულხანიშვილის ოჯახის სასარგებლოდ, რომლის მდგომარეობა უმწეოა.

შემოწირულება

„თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ 1, პროფ. ხაბურზანიასგან 1000 მ. 2, ვასილ ივ. კერესელიძისგან 100 მ. 3, ნიკ. კერესელიძისგან 100 მ. 4, სერგო კერესელიძისგან 100 მ. 5, გიგო კერესელიძისგან 50 მ.

6, ნიკიფორე ხომასურიძისგან 100 მ. 7, ივ. სოლ. ციცხლაძისგან 50 მ. 8, ჩუდურეთის სკენის მოყვარეთაგან შ. გორისელის თაოსნობით არსენალში გამართულ წარმოდგენიდან 3050 მ.ნ.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით.

რედ.

პირველხარისხოვანი რესტორანი

შამპანი!

ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაკრაძეთა
(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)
ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
(წლიური)

ახლად დაბეჭდა და დაურიგდა

წიგნის მაღაზიებს გასაყიდათ

„არითმეტიკულ ამოცნ. კრებული"

(ნაწევრები) ს. დათეშიძისა.
საწყობი თბილისში ქართველ ბეჭდითი ამხანაგობის სტამბა, რუსთავ. პრ. № 26 5—1

იუსტიციის მინისტრი არსენიძე.

თებერვალში გამოკა ახალი სალიტერ. ჟურნალი

„პარნასი"

№ 1

მონაწილეობენ: (თანამშრომელნი ანბანთა რიგზე) აქილესი, გერგესელი კ., გომართელი შ., ი.უთა გრ., მაჟავარიანი არჩილ, მეფანდურე შალვა, მჭედლიშვილი ი., პარნასელი ლენა, რატიშვილი კ., რუშაველი ს., უალდი (თარგმანი), ძიძიგური ლ. ყანელი ჰერკულეს. მხატვარი **მ. თოიძე.**

რედაქტორი: **ალვა მეფანდურე** 3—7

ახალი წიგნი ყარიბისა

ამ დღეებში გამოვა ყარიბის ახალი შრომა „წითელი წიგნი" რუსულ ენაზე, რომელიც შეიცავს დაახლოებით 250 გვერდს. წიგნის შეძენის მსურველთ უნდა მიმართონ: 1. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში რუსთაველის ქუჩაზე, 2. კიკნაძის წიგნის მაღაზია „ახალ სიტყვაში" და 3. „ქართველ ბეჭდითი ამხანაგობის" სტამბაში რუსთაველის პრ. № 26. 3—1.

შალვა ალ.-მესხიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.